სარგის კაკაბაძე

# სიგელი ქართლის მეფე კონ-სტანტინესი 1488 წ.

საქბ-2000 შემოწმებულია

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახ. № 5.
1913

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი 1488 წლ.

სიგელი მცხეთისა № 130 დაწერილია კარგად შენახულ ტყავზედ ზომით 177 $^1/_2 \times 21\ ^1/_2$ სანტიმ. და ბოძებულია ქართლის მეფე კონსტანტინეს მიერ 1488 წელს მის მეფობის მე-10 ინდიქტიონს. ეს ინდიქტიონის ჩვენება ფრიად საყურადღებოა. აქ კონსტანტინეს მეფობის დასაწყისი ნაანგარიშევია არა უადრეს 1478 წლისა. მცხეთის კიდევ სხვა სიგელში, რომელიც ბოძებულია 1492 წ., მოხსენებულია კონსტანტინეს მეფობის ინდიქტონი მე-15 *). შეთანხმება ამ ორი ცნობისა გვიჩვენებს, რომ კონსტანტინე მეფობის ინდიქტონს ანგარიშობს 1478 წლიდან—ამ წელს ის მეფედ დამჯდარა. ნამდვილად კონსტანტინე მეფედ იხსენიება ამ წელზე უფრო ადრეც, მაგალ., 1466 წლის ერთს სიგელში **), და ქვათახევის ქორონიკონს 165 (=1477 წ.) ტყავზედ დაწერილს სიგელში (№5). ეს წინააღმდეგობა უნდა აიხსნას შემდეგნაირად. კონსტანტინე მეფის ხარისხს ატარებდა თავისი მამის დიმიტრის სიკვდილის შემდეგ (+1452 წ.) თუმცა დამოუკიდებელი ბატონი არ იყო. ის, როგორც ეტყობა, ქართლში ცხოვრობდა. 1478 წელს გარდაიცვალა აფხაზ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI, რომელსაც 1466 წლიდან ქართლიც ეჭირა. ბაგრატ VI-ს სიკვდილის შემდეგ ქართლი დაუპყრია კონსტანტინე დიმიტრის ძეს 1478 წელს და ამის შემდეგ ქართლის ტახტი კონსტანტინეს შთამომავლობის ხელშია. ჩვენი სიგელი შემოკლებით შეტანილი იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკებში" (II, 306). სიგელში მოხსენებულია უცნობი ქართლის კათალიკოზი ევაგრი. წინასიტყვაობა სიგლისა გადმოღებულია მცხეთის საკათალიკოსო გუჯრიდან, რომელიც ბოძებულია 25 დეკემბერს 1447 წელს გიორგი IX-ს მიერ მისი მეფობის პირველ ინდიქტიონს და რომელიც მე უკვე ცალკე დავბეჭდე. სიგელის სათაური (მეორე გვ.): ქ:· სიგელი: განთავისუფლებისა: საყდრის:· მამულის: (ეს მქრალად). ქ სიგელი: საყდრის მამულის: განთავისუფლებული: (სხვა ხელით:) ეზატგულდეთისა:.

*) ქრონიკები, II, 130.

**) საქართვ. სიძველ., II, 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ:—რომელი: არს: და: რომელისა: მიერ: ძლით: იქმნეს:
ყოველნი: აღნაგნი: არსისა: არსათა: უცვლებელისა:
უსაზღვროსა: ძალგანუზომელისა: გარე: შემოუწერელისა:
ხოლო: მიუწდომელობით: ცნობილისა: რომელნ: ძალნი:
უხორცოთანი: თუ ვინიერ (sic) გარე: შემისა: სახიერებითა´
ვერ: მისწუდებიან: ცნობად: და: თუალთა: შედგმად: რომე-
ლნი: ცანი: ვერ: დაიტევენ: და: წესნი: ანგელოზთანი: უა-
ძრწიან: რომელისა: ქუეყანა: ვითარცა: გუგა: ეგრეც: შემოუ-
წერია: უსაზღვროდ: განუცდელი: და: გარე: შემოუწერელი:
უარაზამო: უარაულო: ყოველგან: მყოფი: და: ყოველთა:
მხედი: მზადი: და: წარ: მომარსებელი: ყოველთა: ყოფილთა
და: ყოფადთა: ეჰა: ვითარ: ხსნისათჳს: ჩუენ: ცოდვილთასა:
საშოსა: შენსა: უთესლოდ: და: უხრწნელად: შეურევნელად´
და: შეუვინებელად: დაიტია: დაუტევნელი: ცათა: და: ქვე-
ყანისა:] და: თბითა: კაცობრივითა: შემოსილიქმნა: რომელ-
მან: წმისყოფით: დაბადნა: ყოველნი: აღნაგნი: ვითარ: მონა-
თა: თანა: შერაცხილად: შევ: ვიტყჳ: ღმთებასა: და: კაცებას
ორითა: ბუნებითა: სრულითა: რომელსა: შობასა: ანგელოზ-
ნი: ვითარცა: ღ´თსა: მოგუნი: ვითარცა: მეუფესა:
ვარსკულავნი: ვითარცა: დამბადებელსა: ერნი: ვითარ
ცა: მაცხოვარსა: და: მწყემსნი: ვითარცა: მონასა: მსახუ-
რებდეს: რომელსა: ევნებოდა: ვითარცა: კაცსა: და: თავსიდვა:
ჩუენ ცთომილთათჳს: შიმშილი: წყურვილი: ნაღულისა სმა:
ყურიმლისცემა: და: სამშულთა: მიერ გუერდსა: მოწყლვა:
ეჰა: რომელსა: მიერ: აღიხოცა: ყოველივე: მომყვრტოვნება:
და უსჯულოება: ცხედართ: სოლომონისათ ასულთ: დავი-
თისთ: რომელი: შეყუარებულიქმნა: ძისაგან: შენისა:—რომე
ლი: ეგე: ადამს: ემამე: და: დედა: ექმენ: ევასა: დედაო:
და: ქალწულად: მშობელო: ემანოელისო: რომელი: ეგე: სამ-
წლის: მიყუანებულ: იქმენ: ტაძრად: ტაძარო: სულისა: წმინდი-
სათ: მახარებელო: ევას: ნაშობთა: ბრალეულთათ: ბნელისაგან
წყუდიადია ისა: (sic) ნათლად: მამყუანებელო:—არა: მუცლით:
ქალწულო: გარნა: მიერ: სულისა წმინდისა: ნათლად: მოცემ-

სა: და: ჩუენდა: ზღუდედ: გამორჩეულო: წარმამართებელო: მეფობისა ჩუენისაო: დიდებაო: და: სიმტკიცეო: სკიპტრა: პორფილისა: და: გუირგუინისა: ჩუენისაო: მეტეხთა: და: ხახულისა: ღ̃თისა: მშობელო: მეუხებითა: და: შუამდგომლობითა: თქუენითა: მვედრებელმან: ძისა: თქუენისამან: და: მონდობილმან: ცვა: -ფარვათა: თქუენთამან: და: განმაერთებელმან: ლიხტიმერისა: და: ლიხთამერისამან: ორისავე: სამეფოსამან: მტკიცედ: და: შეურყეველად: მპყრობელმან: აფხაზთა: და: ქართუელთა: მეფეთა: მეფემან: კოსტანტინე: და: პირმშომან: ძემან: ჩუენმან: პატრონმან: მეფემან: დავით: გი̃გი: და: ბაგრატ: რაოდენი: ქება: და: მადლობა: შევწირო: თქუენდა: მომართ: ვითარ: იქუელი:(sic) საქმე: ვქმნე: წ̃შე: ძისა: თქუენისა: ჩუენდა: მომართ: ესრეც: წყალობა: აურაცხელისა: ვითარცა: ესერა: ბრწყინვენ: ოთხნივე: კედარნი: მეფობისა: ჩუენისანი: და: შეწევნითა: და: წინამძღურობითა: ძელისა: ცხორებისათა· აგარისა: ნათესავნი: მტერნი: და: წინაღმდგომნი: ჩუენი: სამარადისოდ: ლტოლვილ. და: უკუნქცეულ: არიან: და: რადმცა: უკუილაგმა: გონება: ჩუენი: სამსახურებელად: სუეტისა: ღ̃თივ: აღმართებულისა: კუართისა: სამეუფოსა: და მირონისა· ღ̃თ: მყოფელისა: და: ვითა: სამართლად: გუმართებდა: პატრონმა პაპთა: და: მამათა: ჩუენთაგან: გაჩენილისა: დამტკიცება: ეგრე: ჯერვიჩინეთ: და: გულს: მოდგინებით: ახლად: გუჯრითა: ამით: ჩუენცა: დავამტკიცეთ: ვათარხნეთ: და: ვათავისუფლეთ: რაცა: და: რასთანაცა: ტაძრისა: თქუენისა: საყდრისა: ღედა ქალაქისა: მცხეთისა: შესავალნი: მამულნი: არიან: არა: ეთხოებოდეს: და: არა: ეწერებოდეს: არაოდეს არა: არა: დიდი: სათთრო: ულუფა: არა: წურილი: საწერი: მუდამი: ულუფა: არა: მეჯინიბეთა: არა: ბაზიერთა: არა: ახორსალართა: არა: მეძაღლეთა: არა: ულაყი: ეთხოებოდეს: არა: საკლავისა: შემნახავნი: არა: სამზარეულოსა: შეშისა: მზიდავნი: და: არ: წყლისა მზიდავნი: რაცა: კაცისაგან: მოიგონების: და: ანუ: მწიგნობრისაგან: მოიგონების: არასთანა: არა:

ეთხოვებოდეს: არაფერა: (sic) არა: და. არავისრა: საქმესა: მცხეთისა: შესავალსა: თანა: არა: კარისა: **ჩუენის** *) წარვლენილთა: მოსაქმეთა: და: მოასილთა: და: არა: სხუისა: ადგილსა: მოურავთა: არა: ეთხოვებოდეს: არა: პური: არა: ღუინო: არ ზროხა: საკლავი: არა: სამუშაო: არას: თანა: არა: ესე: ძველთა: პაპთა: და: მამათა: ჩუენთაგან: განჩენილი: დაუმტკიცეთ: სუეტსა: **ღ̃თივ** *) აღმართებულსა: კუართსა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ̃თ: მყოფლსა: ამასკარეთ: ჩუენთა: ცოდვათა: სიმრავლისა: და: სოფლისა: ვითარებისაგან: ცოდვისა: საქმესა: შეესწრა **ჩუენი: შვილი: დავით:** *) და: უხუედრი: ზარათაშვილისა: ასული: შეირთო: თქუენ: პატრონი: ქათალიკოზი: ევაგრი: და: თქუენი: ეფისკოპოზნი: რჯულის: წესითა: გამოგუენახენით: ჩუენ: როგორაცა: გუმართებდა: კარზედა: მოუდეგით: მცხეთისა: საყდარსა: და: შემოვეხუეწენით: და: დავიურვეთ: ამა: წესითა: ოთხი: ხატი: მოვჭედეთ: და: ოთხი: კანდელი: დავკიდეთ: მისითა: მეზეთითა: ქალაქს: შაქარაშვილი: **არდშერაშვილი: ჯუანშერა: ბასილიშვილი: შიო: დოდიაშვილი: ავთანდილა:** **) ასრე: რომე: თურამე: საყდრისა: ანუ: ქათალიკოზისა: სავაჭროსა: ავლებდეს: მისი: ბაჟი: არა: ეთხოვებოდეს: ეზრაშვილისა: მამული: თელოანი: სხალდიდითაური: მისითა: შესავლითა: და: გამოსავლითა: მთითა: და: ბარითა: ტყითა: სათიბითა: ველითა: ვენახითა: ჭალითა: მთითა: და: ყოვლითა: მისითა: სამართლიანითა: სამძღურითა: საძებრითა: და: უძებრითურთ: და: მცხეთისა: მამულსა: და: სახლსა: მალი: აროდეს: ეთხოვებოდეს: და: არც: გამოვალებინოთ: და: ცხურისა: საზალახისა: ასრე: რომე: თუ: მთას: გავიდეს: ანუ: ბარს: საჩუენოშივა: გმოიღოს: არა: და: სამცხეთო: მამულშიგა: არაოდეს: საზალახე: არა: ეთხოვებოდეს: ესე: უცვალებლად: ყოვლსა: კაცისაგან: მოგვაკსენეთ:

---

*) ეს სიტყვები სტრიქონს ზევით სწერია. **) ეს სხვა მელნით სწერია. წინათ რაც წერებულა, განგებ ამოფხეკილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქუენ: დიდსა: და: ცათა: მობაძავს: მცხეთისა: საყდარსა: ნუგეშინის საცემელოდ: ცოდვილისა: სულისა: ჩუენისა: და: წარსამართებელად: მეფობისა: ჩუენისად: და განძრეულობისა-თჳსა: დღეთა: ჩუენთა: და: ძეთა: ჩუენთა: და: აჰა: თქუენ: წმინდაო: მღრდელთა: მთავარ მთავარო: ქართლისა: პატრიაქო ქათალიკოზო: ევაგრი: როგორაცა: ჩუენგან: დამტკიცებულ-სა: მართებს: ეგრე: ვედრებელი: იქმენ: წინაშე: ღ̃თისა მოსატეებლად (sic): ცოდვათა: ჩუენთა: და: ნუმცა: დავიწყე-ბულვიქნები: ლოცვათა: თქუენთა: შინა: აწ: ესე: ჩუენ: გან-ჩენილი: თარხნობა: და: მალი: საბალახე: ეზრა: შვილისა: მამუ-ლი: და: ქალაქს: ახალად: ჩუენგან: შემოწირული: მეზეთენი: შაქარა: შვილი: **და: სოფელი:** *) და ეზატ გუდალეთნი: მა თით: მთითა: და: ბარითა: ასრე: რომე: თუ: სამცხეთო: ანუ: საქათალიკოზო: სავაჭრო: ქონდეს: სადაგინდ: საჩუენოშიგა: იაროს: მისი: ბაჟი: არა: ეთხოებოდეს: არა: შეგეცვალოს: არა: ჩუენგან: და: არა: შემდგომად: სხუათა: მეფეთა: და დედოფალთაგან: და: არა: სხუათა: მებატონეთაგან: და: ვინცა: და: რამანცა: გუარმან კაცმან: ამისად: შლად: და: ქცევად: ხელყოს: რისხვას: ცა: უსაბამო: ღ̃თი: მამაძე: და: სული: წმინდა: უკეთუ: მეფემან: შეცვალოს: მეუფეო: მეუფეთაო: შენ იგი: შეცვალე: დიდიებისაგან (sic): შენისა: უკეთუ: დედოფალმან: შეცვალოს: დედოფალო: დაბადებულთაო: შენ იგი: შეცვალე: დიდებისაგნ: შენისა: და: ძისა: შენისა: კრულმცა არს: ცათა: და: ქუეყანათა: ზედა: შემცა: ედე-ბის: ძრწოლა: კაენისა: კეთრი: გაეზისი შიშთუილი: იუდა-სი: დანთქმა: დათან და: აბირონისი: ნესტორს და: ოროგინას: თანამცა არს: სამკჳდრებელი: მისი: და: ვინ: დაამტკიცოს: ყოველი: მისი: გაგებული: ღ̃თმნ: კეთილყოს: დაიწერა: მტკი-ცე: ესე: გუჯარი: ინდიკდიონსა: მეფობისა: ჩუენისა: მეათესა:

---

*) ჩამატებულია სტრიქონს ზევით.

ქკ̃ნსა: როვ: — ხელი: ფრიად: ცოდვილისა: ყოვლისა: ბლთმიკა-ნის: მორჩილესისა: კარისა: ჩუენისა: მდივან: მწიგნობრისა: ფახრი: შვილისა: ანდრონიკესათა: —

ხვეულად: მეფე კოსტანტინე დავამტკიცებ.
კიდევ პატარა ხვეული, არ განირჩევა.
მეორე გვერდზე კიდევ ხვეულია ერთ სტრიქონად.